



მშენებლობის სანებართვო მოწმობა

N 224

1. ნებართვის გაცემის თარიღი: 03.09.2019 წელი
2. ნებართვის ვადის დინების დაწყების თარიღი: 04.09.2019 წელი
3. ნებართვის მოქმედების ვადა: 04.09.2021 წელი
4. ნებართვის მფლობელის საიდენტიფიკაციო მონაცემები:

შპს „რუსთავი მოლი“ (ს/ნ 405271450)

ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზ., N748

(სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი; იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული სახელწოდება, იურიდიული მისამართი, სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი)

5. მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო მონაცემები, საკადასტრო კოდი: - 02.03.04.889
6. შენობა-ნაგებობის ადგილმდებარეობის მისამართი: ქალაქი რუსთავი, შარტავას გამზირისა და ლომოურის ქ. გადაკვეთაზე
(ან/და ადგილმდებარეობის შეძლებისდაგვარად დაზუსტებული აღწერა მისამართის არარსებობის ან არასრულობის შემთხვევაში)
7. შენობა-ნაგებობის კლასი: IV
8. შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება და გამოყენების მიზანი: კომერციული ობიექტი
9. პროექტი შეთანხმებულია: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის მიერ
10. ინფორმაცია დამპროექტებლის შესახებ: შპს „მეტრიკი“
(სახელი /დასახელება და საკონტაქტო მონაცემები)

11. ნებართვის გაცემის საფუძველი: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 03 სექტემბრის ბრძანება N.მ.რ. - 494

12. შენობა-ნაგებობის კლასის შესაბამისი სანებართვო პირობები და მშენებლობის პროცესის განხორციელების (ზედამხედველობის) ეტაპები:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის #57 დადგენილება:

IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო პირობები

1. მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:
 - ა) აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;

ბ) აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დარღვევის გარეშე;

გ) აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე;

დ) აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;

ე) სამშენებლო დოკუმენტით გათვალისწინებული მშენებლობის ყოველი ეტაპის დასრულების (გარდა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიისა) შემდეგ ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით შეადგინოს მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმი;

ვ) უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, ინტერიერის საერთო ან/და საზოგადოებრივი სარგებლობის ნაწილების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების, ექსტერიერისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;

ზ) მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 6 თვის ვადაში ექსპლუატაციაში მიღებისათვის მომზადებული შენობა-ნაგებობა წარადგინოს უფლებამოსილ ორგანოში ექსპლუატაციაში მიღებისათვის;

თ) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლარი და ამ დადგენილების 33-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით;

ი) უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს ამ დადგენილების 33-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გაცნობა.

კ) კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისას ნებართვის მფლობელს დაეკისრება საქართველოს კანონით – პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

მშენებლობის პროცესის განხორციელების (ზედამხედველობის) ეტაპები:

1. მოსამზადებელი სამუშაოები
2. მიწის სამუშაოები
3. საძირკვლის მომზადება
4. ნულოვანი ციკლის დამთავრება
5. შენობის კარკასის მოწყობა
6. სახურავის მოწყობა
7. გარე და შიდა კედლების მოწყობა
8. კარ-ფანჯრის მონტაჟი
9. მოსაპირკეთებელი სამუშაოები
10. ტერიტორიის კეთილმოწყობა
11. სამშენებლო ნაგვის გატანა
12. სხვადასხვა სამუშაოები

13.სანებართვო მოწმობის შევსებაზე უფლებამოსილი სამსახური: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის სამსახური

14. მშენებლობის ნებართვის გამცემი პირი: ბესიკ ტოგონიძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
(სახელი, გვარი, თანამდებობა)

ბ. ა.

(ხელმოწერა)





315000

3 (USD)



საქართველო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის



ბრძანება N არქ-494

03/09/2019

საქართველო, ქალაქი რუსთავი

494-02-4-201909031414



შპს "რუსთავი მოლი" -ს სახელზე

მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ პუნქტის, 54-ე მუხლის I ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 39-ე, 54-ე, 55-ე და 78-ე მუხლების, „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 8 აგვისტოს ქალაქ რუსთავის საკრებულოს N#9 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და N 11SNG00882OP01 2019-09-02 16:37:40 განცხადების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

- 1.გაიცეს ქალაქ რუსთავში, შარტავას გამზირისა და ლომოურის ქ. გადაკვეთაზე (ს/კ 02.03.04.889) კომერციული ობიექტის მშენებლობის ნებართვა შპს "რუსთავი მოლი"-ს (ს/ნ405271450) სახელზე.
- 2.ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურს დაევალოს მშენებლობის სანებართვო მოწმობის მომზადება.
- 3.სამშენებლო სამუშაოები დაწყებული იქნეს მშენებლობის სანებართვო მოწმობის მიღების შემდეგ.
- 4.ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
- 5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ბოსტან-ქალაქის №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ბესიკ ტოგონიძე

მერის მოადგილე